

სინქრონული თარგმანის მომსახურება, რომელიც უნდა უნდა განხორციელდეს ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და პირიქით.

ტექნიკურ დავალება

1. სათარგმნი თემატიკა: იურიდიული, ფინანსური, ეკონომიკური, არქიტექტურულ-სამშენებლო და ტექნიკური;
2. თარგმანი შესრულებული უნდა იყოს სათანადო პროფესიული ტერმინოლოგიის (მაგალითად იურისპრუდენცია, შესყიდვები, ეკონომიკა/ფინანსები და ა.შ.) შესაბამისი ენობრივი სტანდარტების და ნორმების დაცვით - შინაარსობრივად, სტილისტურად და გრამატიკულად გამართული სახით. მიმწოდებელი სრულად არის პასუხისმგებელი ნათარგმნი მასალის სისწორეზე;
3. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ყველა იმ ცნობისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომლებსაც შეიცავს შემსყიდველისგან მიღებული მასალები.
4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სინქრონული თარგმნის მომსახურების გაწევა, საჭიროების შემთხვევაში სათანადო აპარატურით (არაუმეტეს 50 პირისათვის), შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილზე (საქართველოს მთელი მასშტაბით), შემსყიდველმა მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს მინიმუმ 1 სამუშაო დღით ადრე. (მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ დროს და ადგილზე უზრუნველყოს თარგმნის გამოცხადება).
5. მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე პოზიციის არარსებობისას (მისი შესყიდვის აუცილებლობისას), ერთეულის ფასი დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციის და მიმწოდებლის ერთობლივი შეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, პრეისკურანტში მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.
6. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ პრეისკურანტში, შემოთავაზებული ღირებულებები არ უნდა აღემატებოდეს მომსახურების პრეისკურანტში შესაბამის პოზიციებზე დაფიქსირებულ ზღვრული ერთეულის ღირებულებებს.

მოთხოვნების ტენდერში მონაწილეთა მიმართ:

მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ:

1. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი და/ან სხვა) ქართულიდან ინგლისურ ენაზე ან/და პირიქით სინქრონული თარგმნის მომსახურების გაწევის გამოცდილება 2019-2021 წლებში (სულ მცირე ერთი მიწოდება აღნიშნულ პერიოდში);
2. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სინქრონული თარგმნის აპარატურით მომსახურების გაწევის გამოცდილება 2019-2021 წლებში (სულ მცირე 1 მიწოდება აღნიშნულ პერიოდში);
3. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია:

- სინქრონული თარგმანის განმახორციელებელი პირ(ებ)ის შესახებ მათი სახელის და გვარის და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

მოთხოვნები პრეტენდენტის პერსონალის მიმართ :

1. პრეტენდენტის მიერ მითითებულ პირ(ებ)ს, რომელმა უნდა განახორციელოს ქართულიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით სინქრონული თარგმანის მომსახურების გაწევა უნდა გააჩნდეს ასეთი მომსახურების გაწევის გამოცდილება 2019-2021 წლებში (სინქრონული თარგმანის სულ მცირე ერთი მიწოდება აღნიშნულ პერიოდში).
2. პრეტენდენტის მიერ მითითებულ, ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით სინქრონული თარგმანის განმახორციელებელ პირ(ებ)ს უნდა გააჩნდეს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი, არანაკლებ C1 დონის სერტიფიკატი ან/და მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი ინგლისური ენის ფილოლოგიაში/ინგლისური ენის პედაგოგიაში.

მომსახურების პრეისკურანტი/ფასების ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტი და მისი მომსახურების აღწერა	განზ.	1 (ერთი) საათით მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	სინქრონული თარგმნის მომსახურება ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და პირიქით	1 საათი	
2	თარგმნისთვის საჭირო აპარატურით მომსახურება 1-20 მონაწილისათვის საჭირო აპარატურის კომპლექტი	1 საათით	
3	თარგმნისთვის საჭირო აპარატურით მომსახურება 21-50 მონაწილისათვის საჭირო აპარატურის კომპლექტი	1 საათით	

ფასი უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადს.